

სახალხო ფურცელი

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

სურათებიანი წამატიანი

გაზეთის № 324

ლაგატივის № 58

კვირა, 5 ივლისი 1915 წ.



იანე ჯუში.
(1869—1915)
იხ. დღევ. „სახ. გაზ.“

ოთხი შაირი

A T a m a r e.

ნუ დამცინი! მართალია პატარაა ლექსი ესე,—
მაგრამ შიგ კი დიდი ტანჯვა ცეცხლის როგორად ჩავაკვსე!
და სტეირიც ხომ პატარაა, ერთი წყრთა თუ ერთი ციდა,—
მაგრამ აბა დააკვირდი: ტანჯვა როგორ გამიდიდა?

ჩემო ყველა!

ჩემო ყველა! როცა გული ამიჯანყდეს საბრძოლველად
და მტრის კოშკის დასაპყრობად გავემართო ბრძოლის ველად—

შენ თუ ამ დროს შემოგესმას ხმა ზეაღმტაც, გულ-საკლავი,—
სცან: იქ იბრძვის ნესტანისთვის ტარიელის მარჯვე მკლავი!

აპაკი და ვარსკვლავები.

ვარსკვლავებმა რა შეიტყეს, რომ ქართველი ხალხი სულა
უცხო ხალხის გასახარად დაყოფილა, დაქსაქსულა—

სიტყვებს: „...მაშ უნდა შევეერთოთ!...“ ივალობეს სულთანა,
ივალობეს და... აკაკიც წაიყვანეს თავისთანა!

ვმოგზაურობ...

ვმოგზაურობ: სად არ ვიყავ! რა არ ვნახე! რა ზღვა, მთები!—
რა გგონიათ? თქვენ თუ სცოცხლობთ, პაწა ვნებით მეც ვინთები,—

ხოლო თუ ჩემს განვილილ გზაზე ვერ აღვებეკდავ რამე კვალსა,
მაშინ—ფუ, ჩემს პოეტობას და ჩემს უკვდავ მომავალსა!

კისლოვოდსკი.

ი. გრიშაშვილი.

სამაჰმადიანო საქართველო ანუ შველი მესხეთი



შატაბერი (ახლანდელი პორტა).



პოდ. ბორის მდებრიშვილი
(ორჯერა დაჭრილი)



შატაბერის ტაძრის ნანგრევები.


ბარათი

„აი, გიგზავნი ფერად ყვავილს და
მას ეალერსე ჩემსა მაგიერ,
მისი შვენება ფრიად ნაზია,
ხოლო ფურცელი სათუთი ძლიერ.
ელფერი მისი ჩემს ფიქრს წააგავს,
უ წიკვლოა და შეუბღალავი,
სურნელემა კი შენსა სიყვარულს —
მისებრ სალია, დაუღალავი!..“

საკუთარ ხელით დამირგავს იგი,
საკუთარ ხელით მომირწყავს სზირად, —
ზედ ცრემლი ნამად დამიფრქვევია
და ოცნება კი მსუბუქ ზეფირად.
საკუთარივე ხელით მოვწყვიტე
ჩემსა წალკოტში მაისის დილით,
დიდხანს უმზირე ოცნების თვალით,
მერე მოვქარგე ჩემის ღიმილით
და შენ გიგზავნი ბარათთან ერთად...
და მწამს, თუ ხელში ჩაგივარდება,
ვიცი ჩემსავით გაუფრთხილდები,
ვიცი, ჩემსავით შეგიყვარდება!..“

ჩემო კეთილო! ბარათს ყვავილი
ჭკნობის სიმუქით დაუთალხია,
და ვეჭვიანობ — ამ დაჭკნობაში
შენი ლალატი ხომ არ მარხია?!..

ს. ფაშალიშვილი.



ჯ. კ. შალვა მდივანი
(დაჭრილია).




„სახალხო ფურცლის“ მბეჭდავი
ნაკო მჭედლიშვილი
(დაჭრილია).

თავისი გაიტანა!

ნოველა გ. ფონ-ომბტედისა.

ის თავიანთ ციხე-დარბაზში გადმოიყვანეს. უნდოდათ, რასაც
სიკვდილი იყო, თავის ჭერ-ქვეშ დაეღია სული. თვითონ დედასაც
სურდა შვილის გვერდით ყოფილიყო, თუმცა თვით ავადმყოფის
თვის სულ ერთი იყო; მან განაცხადა, რომ ჩემთვის ერთია სადაც
მოვკვდები, სიკვდილი ყველგან ერთგვარიაო.

და აგერ, ირგვლივ რბილ ბალიშებ შემოწყობილი, ის მაღალ
ჩამობნელებულ ოთახში იწვა. ჟამთა ვითარებას კედელზე ტყავის



პოდ. ივანე ცერცვაძე
(უკვლად დაკარგულა).

პოდ. იაკობ ციკარაული
(მოკლულია).

კ. აბდუშელიშვილი
(მოკლულია).

ფალავანი კოტე სამადალაშვილი
(მოკლულია).

შპალიერისთვის თავისი ბეჭედი დაესვა, გაეშავებინა და ოთახი-სათვის რალაც მკაცრი, ჩამოპირქუშებული სახე მიეცა.

სარეცელთან იდგა დედა, თხემით-ტერფამდე შავებში გამოწყობილი, და აწეწილ თმას უსწორებდა შუბლზე ავადმყოფს.

— რა კარგია გარედ, დედილო! მშვენიერი გაზაფხული და-გიდგებათ! გადილო თავი და სევდიანად წაილულლულა.

— მე, შვილო? მე კი არა ჩვენ, ჩვენ დაგვიდგება კარგი გა-ზაფხული.

— არა, არა, დედიკო! მე გაზაფხულს ვეღარ მოვესწრები.

დედას სევდისგან თითქოს გაუქვავდა სახე.

— ნუ, შვილო, გენაცვალე, ნუ მაგრე ნუ ლაპარაკობ!

— ჰო, მაგრამ მე ხომ ვგრძნობ, რომ გაზაფხულამდე ვეღარ გაეატან...
შავი, ცოტა მკაცრი თვალი მიაპყრო დედამ შვალს.

— ღმერთი გიშველის, შვილო ღმერთი!

— ჰმ, ღმერთი? სევდიანად გაიღიმა ავადმყოფმა და თავი ჩააქნია.

— რა, განა ღმერთი არა გწამს? შიშით სწვდა დედა ხელზე შვილს.

— არა გრწამს, გენაცვალე? ვედრებით გაუმერა, რაკი შვი-ლისგან პასუხი არ მიიღო. ეგ შეუძლებელია, გაიგე, შეუძლებელია; უნდა გრწამდეს, უნდა ირწმუნო!“ თითქმის მუქარით დაუყვირა შვილს, რაკი ის კვლავა სდუმდა და არას უპასუხებდა.

— მე თვითონ ვიცი რასაც ვფიქრობ, მაგრამ არ მინდა გაწყეინო, უთხრა ბოლოს შვილმა თითქმის ჩურჩულით, მაგრამ გარდა-წყვეტილი.

— მაშ არა გრწამს! შვილო, გენაცვალე, გთხოვ, გემუდარები, მითხარი, რომ გრწამს ღმერთი.

— მერე რად გინდა, რას გიშველის ეგ?

— ღმერთი მოწყალეა, შვილო. ის გაგასაღებს და ფეხზე წა-მოგაყენებს!

ავადმყოფმა ისევ ნელა ჩაიქნია თავი და დედამ ისევ დაუწყო შვილს მუდარა.

— მითხარი, მითხარი, გენაცვალე, რომ მორწმუნე ხარ!

— ნუ თუ, დედა, უნდა ვიცრუო სიკვდილის წინ? მიუგო მოკ-ლედ ავადმყოფმა.

— სიკვდილის წინ? როგორ თუ სიკვდილის? არა, შვლო, შენ არ მოკვდები. შეუძლებელია შენი თავი ღმერთმა ხელიდან გამომა-ცალოს.

ხმა-მალა წამოიძახა დედამ ეს სიტყვები და შვილს მოეხვია ავადმყოფმა მას დაუყვავა, დაამშვიდა.

სარკმელი, რომელთანაც ავადმყოფი იწვა, ბალისკენ იყო, ცი-ხე-დარბაზს რომ ირგვლივ შემოვლებოდა. ავადმყოფი შორს ავლებ-და თვალს, გადარბოდა ამწვანებულ მუხებიდან კორდებზე, მშვიდად რომ ჩასთვლემდათ შუა დღის მზის სხივების კალთაში. ბალიდან ჩი-ტების ჭიკჭიკი ისმოდა, გამაცოცხლებელი, საამო ჰაერი შემოდოდა

ტყისა. ავადმყოფი ჰაერს ისუნთქავდა, სიამე აღბეჭდოდა სახეზე და თვალი უტკებოდა სალ, ნაყოფიერ ბუნებით, რომელსაც ეს მალე, მალე უნდა გაჰყოფდა. გარნა ავადმყოფი მზად იყო. თავისთან ყვე-ლა ანგარიში გაესწორებინა და ის ჰქონდა მხოლოდ ეკლად გულზე, რომ თავისი სიკვდილით დედას დაალონებდა. და რაკი დედა არ ეშვებოდა და მაინცა ჰკითხავდა, სცადა მისთვის გულო გაუმაგრე-ბინა.

— იცი, დედილო, სიკვდილი არც ეგრე ძნელი და მძიმეა. ხომ ვიცი ჩემი დღე დათვლილია, ნამდვილად ვიცი ეს და მშვიდადა ვარ. შენც ნუ დამისხავ გულზე ცეცხლს და სიმძიმის ნუ მასტუმრებ.

დედა შესჩერებოდა შვილს, თითქოს გაქვავებულიყო, ცრემლი თვალით აშრობოდა. მაგრამ შვილმა რომ აღარ დაათვა და ნელი ხმით ამხნეებდა გული მაგრა ჰქონოდა, მან ბოლოს წამოიყვირა.

— არა, უფალი ყურად იღებს ლოცვასა ჩემსა და შენს თავს მაჩუქებს მე. მერმე კი... როცა... როცა... წაეყვანს... იქ შევხდებით ერთმანეთს... (აუში...)

ერთ ხანს ავად-ყოფი შეშფოთდა, აღელდა და ბალიშებიდან წამოიწია. მძიმე იყო იმისთვის ეთქვა ის, რასაცა გრძნობდა. ლაპა-რაკი ქანცს უღევდა. ვეღარ დაასრულა, ყელში აუქოთქოთდა, ხვე-ლა დააწყებინა. ის და შეეძლო, თავი გაექნია უარის ნიშნად და ძა-ლა-გამოლეული გადაეფარდა უკან.

დედა ხელს არ უშვებდა ხელზე და შეშინებული, სასოწარკვე-თილი ემუდარებოდა.

— ჩემო ბიჭიკო, გენაცვალე, მითხარი, მითხარი, არა გრწამს საიქიო? ნუ თუ ემ მართალია? ნუ თუ ამას უნდა შეიფურადე? შენ, შენ მართლა არა გრწამს საიქიო ცხოვრება?...!

ავადმყოფმა თავს ძალა დაატანა, კვლავ შეიკავა თავი. გაქ-ყეტილ თვალბეჭედი ციცილი ანთებულებოდა, ნელ-ნელ იბუგვოდა, ის-პობოდა სიციცხლე, შკრთალ; ყვითელ სახეზე იგი თვალბეჭედი სიკვდი-ლის ბეჭედს მოგაგონებდათ. მშვიდად, წყნარად, თითქმის თანა-გრძნობით მისჩერებოდნენ დედის სახეს. ავადმყოფმა კვლავ დაილა-პარაკა მიხრწნული, ხრინწიანი ხმით, გარნა მშვიდად და სცილილობ-და დაემშვიდებინა დედა, როცა კი ის აღელდებოდა, აფორიქდე-ბოდა.

— მერმე შენ თვითონ იცი რამე საიქიოსი?— ეუბნებოდა შვი-ლი,— ან და რად, რისთვის არის საიქიო? ჩვენ ერთმანეთს გამო-ვემშვიდობებთ აქ, დედამიწაზე და აღარასდროს შევიყრებით. სიკვდი-ლის შემდეგ ერთ მუჭა ნიწად გარდავიქცევი.

და მშვიდი, თითქმის აღერსიანი სიტყვებით უხსნიდა როგორა სწყუროდა სიკვდილი, არაობა, როგორ ენატრებოდა ამ ქვეყნის გან-შორება. ეუბნებოდა, რომ სიკვდილის არ შემანიან, არამედ სიხა-რულსა და ძალასა მმატებს ამაზე ფიქრი და სრული დამშვიდებუ-ლი მოგვედებო. ერთსა თხოვდა მხოლოდ — როგორც მე, შენც მაგ-რად იყავი და უკანასკნელ წუთებს ნუ დამიმძიმებო.

მაგრამ საწოლთან მდგარი დედა ემუდარებოდა ამაზე აღარ ელაპარაკნა და არწმუნებდა — შუბლ-მოდრეკით გამოვსთხოვ უფალს შენს სიციცხლესო...

ბოლოს ავადმყოფი გაჯერდა დედის მუდარისაგან, მოიქანცა, დასუსტდა და, რომ დაემშვიდებინა, დაამედა — ვიფიქრებ კადვ

შენს სიტყვებზე და, იქნება, ვიცოცხლო კიდევო... გადაბრუნდა ის-ორე გვერდზე და ღრმა ძილს მიეცა.

დედა კი კვლავ იმის სარეცელთან იდგა, ხელები მაღლა აღეპყრო, ლოცვის ტალღებს აჰყოლოდა ზევით და ვედრებით სცდილობდა უფლისათვის თვის შვილის სიცოცხლე გამოეტაცნა...

დაღამდა. ის იყო ექიმი გავიდა. ავადმყოფს ეძინა და აღარ გაუსინჯია. ძილი იმისათვის საჭირო იყო.

დედა შვილს უყარაულებდა და თვალს არ აშორებდა იმის ჩამომდნარ სახეს. ღამის სანათის შუქი ციალით გადაბოდა იმის სახეზე, ხოლო ჭერში ირხიოდა ამ შუქის იდუმალი, ნათელი რგოლი სასახლეში მდუმარება გამეფებულიყო. ავადმყოფმა თვალი გამოახილა. დედამ ხელი წაავლო ოფლიან ხელზე.

— როგორა გრძობ, შვილო, ეხლა თავს? უკედ?

ავადმყოფმა წელა დააქნია თავი—ხომ მართლაც სიცოცხლე იწურებოდა, ბოლო ახლოვდებოდა და მალე განთავისუფლდებოდა სრულიად ტანჯვა-წამებისაგან. ამას ის კარგადა გრძობდა. მას ეჩვენებოდა, რომ ეხლა კი მალე დადგებოდა ის, რაც მას მხოლოდ ბედნიერებას მიანიჭებდა და ეს დედასაც განუზიარა.

დედას ელდა ეცა, დაიკვნესა, ხელი მოუსვა გულზე, შუბლზე, ევედრებოდა, ემუდარებოდა სიკვდილზე არ ეფიქრა, დედას არ მოშორებოდა... ევედრებოდა, ავედრებდა უფალს, სტიროდა, ეკამათებოდა, აფიქვებდა ეთქვა, რომ ღმერთი სწამდა, უნდოდა ძალით ელი-არებინებინა საიქიო ცხოვრება, სიტყვით ებრძოდა ავადმყოფ შვილს, ემუქრებოდა, სტანჯავდა იქამდე, რომ ავადმყოფმა შეშინებული წამოილულლულა.

— დედა, რომ არ მცოდნოდა—ჩემი აღსასრული ახლო არს, გეტყობი, რომ მე ტანჯვით სულს ამომხდი მეთქი.

მაგრამ დედა განაგრძობდა.

— სხვა ფერ არ შემიძლიან, შვილო, არ შემიძლიან, გაიგე, ვერ გამიბენდია... ჯოჯოხეთის ჩავეწვებოდი, თუ მეტყობდნენ, რომ არ ეცადე, ვერ მოახერხებ შვილი სარწმუნოებისთვის დაგებრუნებინაო.

ამას პასუხად ავადმყოფმა მხოლოდ ღრმად ამოიოხრა და მწარედ წამოიკვნესა.

დედა კი განაგრძობდა.

— ერთი მიუხარო, რა პირით წარუდგე უფალს ჰა, რა პირით წარუდგე? გემუდარები მითხარი, რომ გრწამს...

მომაკვდავი ჰფეთქავდა, სუნთქვა ეკვროდა; მთელი, გაჩხიკვული სხეული ადი-დადიოდა. მაგრამ დედა მაინც თავისას არ იშლიდა.

— ჰა, გრწამს საიქიო ცხოვრება, გრწამს?

შვილი სდუმდა.

— გრწამს? უფალი ყველაფერს გაპატიებს, იგი სახიერ არს... გიშველის... თუ იწამებ... მითხარი...

დედას ვედრება ეკალს ასვამდა გულს, ყურს უღიზიანებდა და ბოლოს წამოიყვია.

-- დამანებე, დედა, თავი, ვთხოვ, ვთხოვ დამანებე!

დედა არ ეშვებოდა.

— არ შემიძლიან, არ შემიძლიან! როგორ გავებდავ! განა მე არ უნდა ვაგო პასუხი ჩემი შვილის სულზე? განა უფალი არ მეტყვის: აბა, შვილი როგორი გამოიყვანეო?

და შავებში ვახვეული, ვით მონაზონი, მომაკვდავს მოეხვია, თითქოს სურდა იმისაგან სული ამოეგლიჯა.

— დედი... დამანებე თავი... დამანებე... მტკივა... ლულულულებდა ავადმყოფი.

მაგრამ დედა არ ეშვებოდა. დაბალი ხმა თითქოს ემუქრებოდა.

— შენ უნდა ირწმუნო, გესმის, უნდა ირწმუნო! უნდა გამიგონო!..

აღელდა ავადმყოფი, ჯიუტობამ წამოჰყო მასში თავი და ყრუ ხმითა, ხრიალებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისეროდა.

— დამანებე თავი, დედა. ნუ მიშლი, ნუ მიშლი მოკვდე!.. მტანჯავ და მაფორიაქებ. დედამ შეშინებული შეჰხედა, თვალები დაექიტი, გასჩერებოდა.

— ვერ მოკვდები, ვერე, ვერ მოკვდები გესმის? შენ უნდა იგე-მო ნეტარება სამარადისო. მომაკვდავი სდუმდა. დედა განაგრძობდა.

— შვილო, ჩემო ერთად-ერთო შვილო! მითხარი, მითხარი გენაცვალოს დედა, რომ გრწამს საიქიო ცხოვრება!..

ავადმყოფმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, მასში რომ ბუტუავდა კიდევ, გასწორდა საწოლზე, ხელი ჰკრა დედას, თავს ძალა დაატანა და კბილების კრაჭუნით წამოიხიხინა.

— დედა ჩემო, დამაცალე მოგვდე!..

დედა უკან წატორტმანდა, საწოლის ბოლოს გაჩერდა და წაი-ტუტუნა.

— უფალო, უფალო, შენ ხომ მუდამ, მუდამ მშველოდი; მიშ-ველე ეხლაც, მომხედე, მაჩუქე ჩემი შვილი... მიშველე... მიშველე...

ლოცვა მუდარად გადაიქცა. სთხოვდა უფალს შვილის სი-ცოცხლე ეჩუქებინა. შემდეგ მივიდა შვილთან და ხმა-მაღლა, კილო-ამაღლებული ეკითხებოდა მას.

— ჰა, გრწამს ღმერთი, შვილო?

ხმა იგი ყრუდ ერთვოდა ღამის ღუმელს, ფართე, მაღალ ოთახ-ში იკარგებოდა.

მომაკვდავს კვლავ უნდოდა საწოლზე გაქმულიყო, მაგრამ ძალ-ამ თავი ვეღარ მიატანა. დედამ თავისი კითხვა კვლავ განიმეორა, მაგრამ ეხლავე უხეში სასოწარკვეთა გამოისმოდა.

— ჰა, გრწამს ღმერთი?

შვილის მოქანცული სული სიცრუეს ებრძოდა. არ უ-დოდა გა-ტეხილიყო, ტყუილი ეთქვა, სურდა დაეცვა სიმტკიცე შეურყეველი, მაგრამ ძალის უკანასკნელი წვეთი ილეოდა. მომაკვდავსა სურდა მარ-ტოკა დარჩენილიყო... რაც უნდა ყოფილიყო, ოღონდ დარჩენილიყო მარტოკა, მარტოკა, მარტოკა!.. სურვილიც აღეძრა სიკვდილის წინ გაუბედნიერებინა დედა, რომ მას შესძლებოდა მშვიდად განეგრძო სიცოცხლე და ხატად ჩაესვენა ხსოვნაში შვილის ნათელი სახე, რომელსაც ის აღარასდროს იხილავდა. და თავისი ჯიუტობა არ მოე-წონა. და როცა ამის შემდეგ მესამედ გაისმა საყვედურით სავსე, მთრთოლვარე ხმა.

— ჰა, გრწამს ღმერთი?

მან ღიმილით, მტკიცედ და გარკვევით უპასუხა.

— მრწამს, დედილო!..

და დასუსტებული მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ლოყაზე დე-დას მხურვალე, მადლობით ანთებულ ბაგის შეხება იგრძნო, შემდეგ კი გრძნობა დაჰკარგა.

დედა დაიხარა, შვილის სუთქვას მიუგდო ყური. სახე სიხარუ-ლით გაუბრწყინდა და ჩუხად, ფეხის წვერებზე გავიდა ოთახიდან.

ქვემოდა სამლოცველოში, ციხე-დარბაზზე რომ იყო მიშენებუ-ლი, იგი თვის ღმერთის ხატის წინ დაეცა მუხლებზე და მადლობა შესწირა, რომ მის შვილს გული მოუღობო, გზად დააყენა ცხოვრე-ბისა. მერმე კი მხურვალე ლოცვაში შესთხოვდა უფალს იმისი შვი-ლისათვის სიცოცხლეს მიენიჭებინა.

ავადმყოფმა გამოიღვიძა. სიკვდილი სიცოცხლეს ებრძოდა. მძი-მე იყო, აუტანელი. მაგრამ მომაკვდავი იბრძოდა პირნათლად, მტკი-ცედ, იბრძოდა ერთი—ღამის მყუდროობაში, იბრძოდა მარტოკა, იბრძოდა სიბნელეში, რადგან ღამის სანათი ჩამქრალიყო. იბრძოდა და თავს არ იტყუებდა, სიცრუით არ ინუგეშებდა.

ფანჯრებში რომ ცისკარმა შემოანათა, დედა თვის შვილის გა-კივებულ ცხედრის წინ იდგა და თავის ღმერთი ემდგროდა. გარედ კი მოსამსახურენი ერთი მეორეს ატყობინებდნენ ბატონის გარდა-ცვალებას.

— ახალგაზრდა ბატონმა ისურვა თვის წინაპრებთან წაბრძა-ნებულობა, — დიდის აზრით წარმოსთქვა მეეტლემ, რომელიც აგერ ორმოცი წელიწადი ემსახურებოდა მათ. მისმა ცოლმა, მზარეულმა, პირჯვარი გადაიწერა და დაჟმატა.

— აცხონოს უფალმა და მის სულს სასუფეველი დაუმკვიდ-როს!

მეჯინიბემ კი ჩაიციხა და სთქვა.

— ოჰო!.. აი ვისაც არაფერი სწამდა ამ ქვეყნად!..

სანგანიძე.

